

გადაუდებელი კონტრაცეპცია

გადაუდებელი კონტრაცეპცია არის კონტრაცეპციის ჰორმონალური მეთოდი, რომლის გამოყენებაც შეიძლება დაუცველი სქესობრივი კავშირის შემდეგ ორსულობის თავიდან აცილების მიზნით. გადაუდებელ კონტრაცეპციას ზოგჯერ ეძახიან „დილის შემდეგ“ ან „პოსტკოიტალურ“ კონტრაცეპციას. უმჯობესია ტერმინის - „გადაუდებელი კონტრაცეპცია“ გამოყენება, რომელიც უკეთ გამოხატავს მის მნიშვნელობას; ეს ტერმინი მიუნიშნებს, რომ მისი ხშირად გამოყენება არ შეიძლება და თან მცდარ წარმოდგენას არ ქმნის იმაზე, რომ აბები უნდა მიიღონ დილით სქესობრივი კავშირის შემდეგ.

ტიპები

გადაუდებელი კონტრაცეფციის მიზნით გამოიყენება სუფთა პროგესტინული აბები, კოკ-ი და სშს.

- **სუფთა პროგესტინული აბები – (მხოლოდ ლევონორგესტრელის რეჟიმი)**

ამ მიზნით გამოიყენება მხოლოდ პროგესტინის შემცველი აბები - 0.75 მგ ლევონორგესტრელი (ან 1.5 მგ ნორგესტრელი). პაციენტმა დაუცველი სქესობრივი აქტიდან პირველი 72 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს 1 აბი (0.75მგ) პა. ხოლო მეორე აბი განმეორებით უნდა მიიღოს 12 საათის შემდეგ.

- **კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივების რეჟიმი – “იუზპეს” რეჟიმი**

გამოიყენება კოკ-ი – პროგესტინი (500 მკგ ლევონორგესტრელი ან 1.0 მგ ნორგესტრელი) და ესტროგენი (100 მკგ ეთინილ ესტრადიოლი).

კოკ-ი განსაზღვრული დოზით უნდა იქნეს მიღებული დაუცველი სქესობრივი კავშირის შემდეგ პირველი 72 საათის განმავლობაში. E12 საათის შემდეგ კი განმეორებით უნდა იქნეს მიღებული იგივე დოზა.

- **სშს უნდა ჩაიდგას დაუცველი სქესობრივი აქტიდან 5 დღის (120 სთ-ის) განმავლობაში.**

მოქმედების მექანიზმი

გადაუდებელი კონტრაცეპციის მიზნით გამოყენებული აბების მოქმედების ზუსტი მექანიზმი ცნობილი არ არის. ზოგიერთმა კვლევამ უჩვენა, რომ გადაუდებელი კონტრაცეპცია ხელს უშლის ან აყოვნებს ოვულაციას. მოქმედების მექანიზმი შეიძლება დამოკიდებული იყოს იმ დროზე, თუ მენსტრუალური ციკლის რომელ ფაზაში ჰქონდა ქალს დაუცველი სქესობრივი კავშირი. ორსულობის პრევენცია შესაძლებელია შემდეგი დამატებითი მექანიზმების მეშვეობით, თუმცა ეს დამტკიცებული არ არის:

- საშვილოსნოს ყელის ლორწოში სპერმატოზოიდის მოძრაობაზე გავლენის მოხდენით;
- სპერმატოზოიდის, კვერცხუჯრედის ან ემბრიონის გადაადგილების შეცვლით;
- ყვითელი სხეულის ფუნქციის შეფერხებით;
- განაყოფიერების აცილებით;
- იმპლანტაციის შეფერხებით.

გადაუდებელი კონტრაცეპცია ხელს არ უშლის უკვე არსებულ ორსულობას და არ იწვევს თვითნებით აბორტს.

ეფექტურობა

თუმცა ორივე რეჟიმი ეფექტურია, უმჯობესია მხოლოდ ლევონორგესტრელის რეჟიმის გამოყენება, რადგანაც ის უფრო ეფექტურია და ნაკლებად იწვევს გულისრევასა და ღებინებას. **მხოლოდ ლევონორგესტრელის** რეჟიმი ამცირებს ორსულობის რისკს დაახლოებით 85%-ით. ხოლო კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივები კი დაახლოებით 74% –ით.

ზოგადად, გადაუდებელი კონტრაცეპციის მიზნით აბების გამოყენება ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე რეგულარულად აბების მიღება. ორსულობის მაჩვენებელი გადაუდებელი კონტრაცეპციის მიზნით აბების მიღების შემთხვევაში უკავშირდება ერთჯერად გამოყენებას, ხოლო კოკ-ისა და სუფთა პროგესტინული აბების რეგულარულად მიღების დროს კი ორსულობის რისკს გამოყენების მთელი წლის განმავლობაში. თეორიულად, გადაუდებელი კონტრაცეპციის მიზნით აბები მთელი წლის განმავლობაში რომ გამოიყენებოდეს, ორსულობის მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა.

უსაფრთხოება

გადაუდებელი კონტრაცეპცია უსაფრთხო მეთოდია. 20 წელზე მეტია, რაც იგი გამოიყენება, მაგრამ სიკვდილიანობა ან რაიმე სერიოზული სამედიცინო გართულება არ დაფიქსირებულა.

- გადაუდებელი კონტრაცეპციის მიზნით გამოყენებულ აბებში ჰორმონების დოზა შედარებით მცირეა; ესტროგენებისა და/ან პროგესტინების მოკლენიანი ზემოქმედება, როგორც ჩანს, ვერ ცვლის სისხლის შედედების მექანიზმებს, რაც შეიძლება მოხდეს კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივების (კოკ) უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოყენებისას.
- კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივების გადაუდებელ კონტრაცეპციისთვის გამოყენება არ არის დაკავშირებული ნაყოფის სიმახინჯეებთან ან თანდაყოლილ დეფექტებთან.
- არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ გადაუდებელი კონტრაცეპცია არ ზრდის ექტოპიური ორსულობის შესაძლებლობას.

უპირატესობანი

- დამტკიცებული უსაფრთხოება;
- იოლად ხელმისაწვდომი (ორივე - კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივები და მხოლოდ ლევონორგესტრელის შემცველი აბები);
- ხელს უშლის ოვულაციის, განაყოფიერებას ან იმპლანტაციის;
- ამცირებს აბორტის საჭიროებას;
- ამცირებს არასასურველი ორსულობის რისკს;

- გამოიყენება დაუცველი სქესობრივი კავშირის შემდეგ (გაუპატიურებისა და კონტრაცეპტივის არეფექტურობის ჩათვლით);
- გამოიყენება ახალგაზრდებში, რომლებიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ პირველი სქესობრივი კავშირისთვის იყვნენ მომზადებულნი;
- გვერდითი მოვლენები გრძელდება მოკლე ხანს.

ნაკლოვანებები

- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისაგან (სგგი) და აივ/შიდსისაგან;
- არ უზრუნველყოფს უკვე არსებულ ორსულობის შეწყვეტას;
- უნდა იქნას გამოყენებული დაუცველი სქესობრივი კავშირიდან სამი დღის განმავლობაში, და რაც შეიძლება მალე.
- შეიძლება გამოიწვიოს გულისრევა და ზოგჯერ ღებინება, განსაკუთრებით კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივების მიღების შემთხვევაში;
- არ არის მიღებული რეგულარული გამოყენებისათვის.

გადაუდებელი კონტრაცეპციის მიზნით აბების გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება ორსულობის თავიდან აცილების მიზნით დაუცველი სქესობრივი კავშირის შემდეგ ისეთი შემთხვევების ჩათვლით, როგორცაა:

- კონტრაცეპტული საშუალების არ გამოყენება.
- კონტრაცეპტივის გამოყენებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი შემთხვევა ან მისი არასწორი გამოყენება, რაც მოიცავს შემდეგს:
 - კონდომის გახევა, ჩამოცურება ან არასწორად გამოყენება;
 - ზედიზედ ორი კონტრაცეპტული აბის გამოტოვება;
 - პროგესტინის შემცველი კონტრაცეპტული ინექციის გაკეთება ორ კვირაზე მეტი დაგვიანებით;
 - სამ დღეზე მეტი ხნით დაგვიანებით კომბინირებული ესტროგენ/პროგესტინის შემცველი ინექციის გაკეთება;
 - სპერმიციდის ტაბლეტი ან სანთელი არ დნება სქესობრივ კავშირამდე;
 - დიაფრაგმის ან საშვილოსნოს ჩაჩის გადაადგილება, დაზიანება, გახევა ან დროზე ადრე ამოღება;
 - სქესობრივი აქტის შეწყვეტისას წარუმატებლობა (მაგ. ეაკულაცია საშოში ან გარეთა სასქესო ორგანოებზე);
 - პერიოდული თავშეკავების მეთოდის არასწორად გამოთვლა ან ციკლის ფერტილური დღის არასწორად განსაზღვრა;
 - საშვილოსნოსშიდა საშუალების გამოვარდნა;
- სქესობრივი ძალადობისას, როდესაც ქალი არ იყო დაცული სანდო კონტრაცეპტული მეთოდით.